სიტუაციური vs. ყოველდღიური პრეპი

ამჟამად პრეპ მედიკამენტის მიღების ორი რეჟიმია რეკომენდებული:

- პრეპის მიღება ყოველდღიურად;
- პრეპის მიღება სიტუაციურად(2-1-1)

მიღების ორივე რეჟიმი ეფექტურია და უზრუნველყოფს მაქსიმალურ დაცულობას აივ ინფექციისგან.

	ყოველდღიური	სიტუაციური (2-1-1)
ვისთვის არის?	ყველასთვის	მამაკაცებისთვის, ვისაც სექსი აქვს მამაკაცთან.
როდის მიილება	ყოველდღიურად	ყოველ ჯერზე, როცა სექსი გაქვს
როგორ მივიღო?	მიიღე 1 აბი ერთჯერ დღეში	მიიღე სექსამდე და სექსის შემდგომ სქემით 2-1-1
იდეალურია:	ხშირი სქესობრივი კონტაქტისას. მათთვის, ვისაც არ ძალუძს სექსის წინასწარ პროგნოზირება	არახშირი სქესობრივი კონტაქტისას. მათთვის, ვისაც ძალუძს სექსის წინასწარ პროგნოზირება
დაგეგმვა	არ არის საჭირო	საჭიროა სექსამდე მინიმუმ 2 საათით ადრე.
გამოტოვებული დოზა	არ არის რეკომენდებული, თუმცა თვიურად 1-2 აბის გამოტოვება არ ამცირებს მის ეფექტიანობას.	დაუშვებელია დოზის გამოტოვება
გვერდითი ეფექტები	იგივეა, რაც სიტუაციურად მიღებისას	იგივეა, რაც ყოველდღიურად მიღებისას
ჰეპატიტი B	შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ქრონიკული B ჰეპატიტის მქონე პირებში	პოტენციურად საშიშია მისი გამოყენება ქრონიკული B ჰეპატიტის მქონე პირებში
საფასური და ანონიმურობა	უფასო და ანონიმურია	უფასო და ანონიმურია

© ყველა უფლება დაცულია

ფლაერი თარგმნილია “Burnett Foundation Aotearoa-ს” ნებართვის საფუძველზე
www.burnettfoundation.org.nz

EQUALITY MOVEMENT

როგორ მივიღოთ პრეპი სიტუაციურად?

პრეპის სიტუაციური მიღება ეფექტურია მხოლოდ მამაკაცებში, რომელთაც სექსი აქვთ მამაკაცებთან:

- მიიღეთ 2 ტაბლეტი სქესობრივ კავშირამდე 2-24 საათით ადრე;
- ერთი ტაბლეტი პირველი 2 ტაბლეტის მიღებიდან 24 საათში;
- ერთი ტაბლეტი პირველი 2 ტაბლეტის მიღებიდან 48 საათში.

სიტუაციური პრეპის მიღების სქემა



სიტუაციური პრეპი მრავლობითი სქესობრივი კონტაქტის დროს



ეს მნიშვნელოვანია!

დარწმუნდი, რომ ყველაფერს სწორად აკეთებ

- მედიკამენტის დანიშნულებისამებრ მიღება კრიტიკულად მნიშვნელოვანია. გამოიყენე მაღვიძარა ან აპლიკაციები, რომლებიც მედიკამენტის მიღებას შეგახსენებენ.
- მიიღე პრეპი სიტუაციურად ყოველ ჯერზე, როცა სექსი გაქვს და განაგრძე მისი მიღება მანამ, სანამ სექსი გაქვს.
- დარწმუნდი, რომ უკანასკნელი სქესობრივი კავშირის შემდგომ ყოველ ჯერზე იღებ 2 აბს ორი დღის განმავლობაში სქემით 2-1-1 (იხ. სიტუაციური პრეპის მიღების სქემა).
- თუკი გამოტოვე დოზა, დაასრულე დაწყებული კურსი მიმართე შენს პირად ექიმს პრეპ პროგრამიდან.
- გადაერთე პრეპის მიღების ყოველდღიურ რეჟიმზე, თუკი აღმოაჩენ, რომ სიტუაციურად მიღება არ არის კომფორტული შენთვის. თუმცა მანამდე გაიარე კონსულტაცია ექიმთან.

ექიმთან ვიზიტები

- არასდროს დაიწყო პრეპის მიღება თვითნებურად, წინასწარი გამოკვლევებისა და ექიმთან კონსულტაციის გარეშე. არ გამოიყენო სხვა ადამიანის მედიკამენტები.
- იარე სამედიცინო გამოკვლევებზე ექიმის მიერ დანიშნულ ვადებში და არასდროს გადადო ვიზიტი. სამედიცინო ვიზიტზე მისვლა ყოველ 3 თვეში ერთხელ აუცილებელია.
- ყოველთვის გაეცანი საკუთარი გამოკვლევების შედეგებს. იყავი გულახდილი ექიმთან და ისაუბრე ღიად გვერდითი ეფექტების, გამოტოვებული დოზებისა და პრეპთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ.

2 პირველი დოზა

სექსის გარეშე

შაბათი

20:00 სთ.

სანდრო დარწმუნებულია, რომ შაბათს საღამოს სექსი ექნება. ჰორუმი 10 საათზე იწყება, ამიტომ მან პრეპის ორი აბი 2 საათით ადრე მიიღო.

სექსი

22:00 სთ.

22:00 სთ. მას უკვე შეუძლია სექსი ჰქონდეს, რადგან მედიკამენტის მიღებიდან 2 საათი გავიდა

23:00 სთ.

სანდროს სექსი აქვს დავითთან.

კვირა

02:00 სთ.

სანდროს სექსი აქვს გიორგისთან.

11:00 სთ.

შუადღე

და ასევე, მოგვიანებით საბასთან, ნიკასთან...

19:00 სთ.

1 შემდეგი დოზა

სექსის გარეშე

კვირა

20:00 სთ.

სანდრო საღამოს 8 საათზე იღებს 1 აბ პრეპს (პირველი დოზიდან 24 საათის შემდეგ).

1 ბოლო დოზა

სექსის გარეშე

ორშაბათი

20:00 სთ.

სანდრო საღამოს 8 საათზე იღებს ბოლო 1 აბს (კვირას მიღებული 1 აბიდან 24 საათის შემდეგ).